სახალხო გაზეთი

№ 828 ხუთშაბათი, 21 თებერვალი 1913 წ. № 828

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 24 თებერვალს.

სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადიხადონ. ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2 **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**

3 **ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.**

ქართული თეატრი
საყველიერო რეპერტუარი
ბენეფისი ვ. ი შალიკაშვილისა.

პარასკევს, 22 თებერვალს,

რეჟისორისა და მსახიობის ვ. ი. შალიკაშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება მესამედ მისივე 4 მოქ. პიესა:

გადაჭრილი მუხა

გოლას როლს შეასრულებს პიესის ავტორი. მიზან-სცენები ვლ. ალექსი-მესხიშვილისა. მონაწილეობას მიიღებს ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, კარგარეთელი, ლოლუა, მარგარიტა, ქიქოძე, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი; აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გუნია, ზარდალიშვილი, მესხი, მგალობლიშვილი, მატარაძე, ქივიძე, სარაულიძე, ციციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

დასაწყ. სახ. 8 ს. რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**

დილით
იაფ-ფასიანი წარმოდგენა

შაბათს, 23 თებერვალს, წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა

პატარა კახი

დრამა 5 მოქმედ. აკ. წერეთლისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დავითაშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მატარაძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

დასაწყისი შუადღის 12 ს.

ადგილების ფასი დაკლებულია.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

დილით
იაფ-ფასიანი წარმოდგენა.

კვირას, 24 თებერვალს, წარმოდგ. იქნება მეხუთედ ამ სეზონში **ცნობილი ტრაგედია სოფოკლესი:**

ანტიგონე

თარგ. ბერძნულით გ. გვაზავასი.

მუსიკა ხორისა და ორკესტრისათვის —ფელიქს მენდელსონ ბერტოლდისა: კრეონის როლს შეასრულებს—**ვ. შალიკაშვილი.** მონაწილ. მიიღებენ ქ-ნნი: გოგოლაშვილი, დავითაშვილი, კარგარეთელი, ლოლუა, მარგარიტა, ქიქოძე, შოთაძე; ბ-ნნი: ანდრონიკაშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, ზარდალიშვილი, მგალობლიშვილი, მატარაძე, სარაული, შალიკაშვილი. ადგილ. ფასი დაკლებულია. **დასაწყ. შუადღის 12 ს.** დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი ბ. ს. ი. პრესმანის დირიჟორობით და იმღერებს მომღერალთა გუნდი ბ ნ ვ. ვ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

რეჟისორი **ა. ანდრონიკაშვილი.**

უკანასკნელი წარმოდგენა—კვირას, 24 თებერვალს სეზონის დასაბოლოვებლად წარმოდგენილი იქნება მეორედ ცნობილი პიესა ინგლისის გამოჩენილ მწერლისა **ბერნარდ შოუსი**

კეისარი და კლეოპატრა

5 მოქმედ. და 6 სურათად, თარგ. ბ. ვ. შალიკაშვილისა.

განსაკუთრებული დეკორაციები და ტანისამოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, ლოლუა, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, ქივიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**

შაბათს, 24 დეკემბერს,

ქართულ დრ. საზ. დასის მიერ წარმოდგ. იქნება **ალ. ყაზბეგის** პიესა

ყაჩაღი არსენა
დრამა 3 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გოგოლაშვილი, ლოლუა, ჯავახიშვილი; **ბ-ნნი** აბდუშელი, ალექსიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, ქივიძე, სარაული, ციციშვილი, შანშიაშვილი. **დასაწყისი სახ. 8 ს.** ადგილების ფასი **დაკლებულია.**

1040 ადმინ ქართ. დრამ. საზ. რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

რომანოვთა საგვარეულოს
300 წლის მეფობის აღსანიშნავ დღესასწაულის გამო,
ტფილისის გუბერნიის
თავად-აზნაურთა

წინამძღოლის

თანამდებობის აღმასრულებელი, სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურობას

მობრძანდნენ
ხუთშაბათს, 21 თებერვალს,

რომანოვთა გვარეულობის მეფობის

300 წლის დღესასწაულის დღეს,

დილის 9 საათზე, სამხედრო ტაძარში, წირვაზე დასასწრებლად. ტანისამოსი საზეიმო უნდა ეცვათ.

1067

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმების ის ძუ ა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. წ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. ტ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკოვინი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **თარხნიშვილი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½.
ქალთა და საშოიია სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულბკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ხ.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყელ. ყურ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ხ.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შილადმიანი სათასოებით 1035

მორაპნის მაზრის | ქუთაისის გუბერნია |
შავი-ქვის მრეწველთა კრების
საბჭო

ამით აცხადებს, რომ 1913 წ. 3 მარტს, შუადღის 12 საათზე, დაბა **ჭიათურაში საჯარო ვაჭრობით**

იჯარით გაიცემა:

1) მრეწველთა საბჭოს მიწაზე აგებულ და მის კუთვნილ საავადმყოფოს შენობაზე **ზედა სართულის დადგმა,** სამუშაო 20,000 მანეთისაა.

2) იქვე **ორ-სართულიან სახლის აგება** მკურნალთათვის. ნავარაუდევია 10,000 მან.

ხარჯთ-აღრიცხვისა, გეგმებისა და აგრეთვე ტეხნიკურ, თუ სხვა საზოგადო პირობების გაგება შეიძლება დაბა ჭიათურაში, საბჭოს სატეხნიკო კანტორაში, ყოველ დღე, **დილის 11—2 საათამდე.** მსურველებს გაეგზავნებათ ბლანკები სამუშაოთა რაოდენობის მუხლობრივის აღნიშვნით. ფასები უნდა განაცხადონ წერილობით, დაბეჭდილ კონვერტში და აგრეთვე **ბედ** უნდა წარმოადგინონ მთელი საიჯარო თანხის ათი პროცენტი. სავალდებულო არ არის ორთავე შენობის ერთად აღება იჯარით. 1062

ახალი კლუბი
შაბათს, 23 თებერვალს

მასკარადი

ოთხი ჯილდოა დანიშნული საუკეთესო და ორიგინალურ ტანისამოსისათვის. სტუმრები იხდიან კლუბში შესვლისას: მამა-კაცნი—1 მან. სტუდენტები 25 კ. მანდილოსნებისთვის მასკები სავალდებულოა ღამის პირველ საათამდე. მანდილოსნები, რომელთაც ჰსურთ უმასკოთ შემოსვლა კლუბში—იხდიან ჯარიმას 1 მან. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1052.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.
ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე.

წელიწადი მეცხრე.

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი

მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან „ბიძია თომას ქოხი“,** სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**

Общество
Кахетинскихъ садовладѣльцевъ
„Кахетія“
въ Тифлисѣ

Заявленъ М-ву Торг. и Пром.

УСТАВЪ ОБЩЕСТВА УТВЕРЖДЕНЪ 1895г.

№

რადგანაც ამ უკანასკნელ დროს

მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი, „კახეთი“-ს საზოგადოება

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოუვეკიდებით სასამართლოს წესით. 1054

ქარხნის მარკა

კონიაკი და ლიქორი
ს. ს. შამბრიარსკისა

ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

20 თებერვლიდან გაიხსნება

სურათების გამოფენა
მხატვარ გ. გაბაშვილისა.

ღიაა დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-მდე. **გრიბოედოვის ქუჩა, № 24, სახლი იზმიროვისა, არშაკუნისეული.** შესვლ ს ფასი 20 კ., მოწაფეთათვის 10 კ. 119

ფირმა არსებობს 1860 წლიდან

კონიაკი
ძმათა ფორერის საკუთარ ქარხნისა,
მოიკითხეთ ყველგან.

პარიზის მსოფლიო გამოფენაზე 1910 წ. რუსულ კონიაკის საუკეთესო ხარისხისათვის ფირმამ **ოქროს მედალი** მიიღო. 1072

დილის 9—10 ს. ღარიბები მიღება უფასოა.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა

იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით,** რ დიის პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდნ.** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. **ტელეფ.** კუთხე). 7—92. 97.

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი ა. ნ. **დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, [illegible] ბაბაშვილისა

ექიმი შ. ა. **მიქელაძე.** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—8½ საათ. კახეთის ქ., № 6.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლდას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, **რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10½ ს.
ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.
ბოჟოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.
ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,
კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-თერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—12½.
რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ 11—12 საათ.
ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.
შამაში, ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.
გ. ნ. გენაცი—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. ს. დ. 4—5 ს.
ა. ა ხოდნევი—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., საღ. 4—5 ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადწინვე ჩაწერით. 366.

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.
ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606"-ით 1053

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავად. ყ. სიმსუქნე, ლითობა, ქარები) ელექ. და დასპალი ციებ. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **გასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ.,** № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სადგურს განყოფ. პირდაპირ. 102

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი,
ორდინატორად ნამყოფი
კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე.
ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12.
იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 67

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილე.** გუშინ, შუადღისას, ალექსანდრე-ნეველის სამხედრო ტაძარში საქართველოს ეგზარხოსმა ინოკენტიმ გორის ეპისკოპოსის ანტონისა, ერევნის ეპისკოპოს პიმენისა და ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით პანაშვიდი გადაიხადა რომანოვთა გვარის მეფეთა, იმპერატორთა და დიდ მთავართა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინად ეგზარხოსმა დროის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. პანაშვიდს დაესწრნენ: მეფის მოადგილის მეუღლე გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისა და სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უმაღლესი წარმომადგენელნი.

გუშინ პანაშვიდები გადაიხადეს აგრეთვე მართლმადიდებელთა სომხეთა, ქათოლიკეთა, ლიუტერანთა და სხვა ეკლესიებში. დღეს მთელი ქალაქი სადღესასწაულოდ იქნება მორთული. დილით ეკლესიებში გადახდილ იქნება სადღესასწაულო პარაკლისები, რომლის შემდეგაც შემოსილი სამღვდელოება ჯვრებით ქალაქში გაივლის. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ: სასულიერო წოდება, სამხედრო უწყება, სამოსწავლო ოლქი, ქალაქის თვითმმართველობა, თავად-აზნაურობა, რკინის გზის სამმართველო, სკოლები და მრავალი სახაზინო და საზოგადო დაწესებულება. დღეს ქალაქის ყველა უბანში გაიმართება უფასო სახალხო კითხვები, რომელშიაც ლექტორები დამსწრეთ განუმარტავენ დღესასწაულის მნიშვნელობას. მრავალს ადგილას მეფის მოადგილის მეუღლის გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისა, ქალაქის თვითმართველობისა, ბანკებისა და სხვა დაწესებულებათა თაოსნობით ღარიბთათვის უფასო სადილები იქნება გამართული. ამავე დღეს ხალხს სხვა და სხვა ალაგას უფასოდ დაურიგებენ წიგნაკებს, სადაც აწერილია რომანოვთა გვარეულობის მეფობის ისტორია. საღამოს მთელს ქალაქს საგანგებოდ გააჩირაღდნებენ. კერძო სახლები და საზოგადო დაწესებულებანი მთელი დღე ბაირაღებითა და ფარნებით იქნება მორთული.

◆ **ქალაქის გამგეობის საკანტროლო განყოფილების ანგარიში** (1910 წლის 1 ივნისიდან 1911 წლის 1 ნოემბრამდე) უკვე დაიბეჭდა და მოკლე ხანში ქალაქის საბჭოს კრებას წარედგინება განსახილველად. განყოფილება დაარსებულა 1910 წ. შტატის შესანახად ყოველ-წლიურად 5,000 მან. ყოფილა გადადებული. ანგარიშს დართული აქვს წერილობითი მოსაზრება ქალაქის გამგეობისა, რომლის აზრითაც შტატი უნდა გადიდდეს და მის შესანახად დამატებით გადაიდოს 2,500 მან. 1912 წელსაც გამგეობა იძულებული გამხდარა შტატი დროებით გაედიდებინა და საჭირო ფული (2,500 მან.) სხვა წყაროებიდან ესესხნა. გამგეობის აზრით საკანტროლო განყოფილებაში შემდეგი თანამდებობანი უნდა დაარსდეს: მთავარ კონტროლიორისა (ჯამაგირად უნდა ჰქონდეს 1,800 მან. წელიწადში), მისი თანაშემწისა (1,300 მან.), სამის კანტროლიორისა (ერთს—900 მან., დანარჩენთ—თითოს 1,000 მან.), კანტროლიორის თანაშემწისა (450 მ.), კანტროლიორ-საქმის მწარმოებლისა (600 მან.) და რემინგტონზე მომუშავისა 450 მან.).

◆ **მოსავალი ამიერ-კავკასიაში.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიურომ 977 კორესპონდენტისაგან აწვრილებით ცნობები მიიღო 1912 წლის მოსავლისა ამიერ-კავკასიაში. ბიურომ მთელი მასალა შეიმუშავა და ცალკე წიგნად ბეჭდავს. ამ ცნობების მიხედვით, ამიერ-კავკასიაში შარშან მოსავალი რიგიანი ყოფილა, ბევრად უკეთესი, ვიდრე 1911 წელს, გარდა ყარსის ოლქისა, სადაც ნათესები და აგრეთვე ხეხილები გაფუჭებია. სასტატისტიკო ბიუროს აზრად აქვს, წელს თავის კორესპონდენტებისაგან ცნობები ოთხჯერ შეჰკრიბოს. ამ ცნობების შეგროვებასა და შემუშავებაზე მიწად-მოქმედების დეპარტამენტს წელს 4,640 მან. აქვს მიცემული ბიუროსათვის, მაშინ, როდესაც წინა წლებში ეძლეოდა მხოლოდ ორას-ორასი თუმანი.

◆ აგრონომები ს. ნ. ტიმოფეევი, ნ. პ. ტარატინოვი და პ. პ. მედვედევი პეტერბურგს გაემგზავრნენ, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საცდელ **სამეურნეო საქმის** მოღვაწეთა თათბირში, რომელსაც მიწადმოქმედების დეპარტამენტი იწვევს.

◆ რედაქციამ მიიღო **ბორჩხიდან** ძანსულსკის მადაროების ქართველ მუშებისაგან **ვლ. მესხიშვილის** იუბილეს გამო მისალოცი დეპეშა.

◆ **ქალაქის სასალახოს რევიზია.** ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის მცირე კომისია, რომელმაც სასალახოს რევიზია მოახდინა, მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ქალაქის სასალახოს საქმეები წესიერად არ უწარმოებიათო. უწესოებაში ბრალი ედება ქალაქის ინჟინერს, სასალახოს ამშენებელ მ. პ. ოდაჯანოვს. საქმის ნამდვილი ვითარების გამოსარკვევად თვით ოდაჯანოვის თხოვნით 23 თებერვალს, სასალახოს დაწვრილებით დაათვალიერებენ სატეხნიკო საზოგადოების წევრები. დათვალიერებაში მონაწილეობის მიღება სხვა ინჟინერ-ხუროთმოძღვრებსაც შეუძლიანთ.

◆ 19 თებერვალს მიწას მიაბარეს მატარებლების დაჯახების დროს **ტრაგიკულად გარდაცვლილ მემანქანის გიორგი ჩივაძის გვამი.** ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვა-პანაშვიდის გადახდის შემდეგ, ცხედარი წაასვენეს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, სადაც დაკრძალეს. კუბოს მრავალი გვირგვინი ამკობდა. დასაფლავებას დაესწრნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსი, განსვენებულის თანამოსამსახურენი და მრავალი გარეშე ხალხი. საფლავზე წარმოსთქვეს სიტყვები.

◆ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა** სახალხო განათლების სამინისტროსაგან ახალი ცირკულიარი მიიღო, რომლითაც საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთ ევალებათ, წარადგინონ ხოლმე ცნობები იმისა, თუ როგორ შეასრულეს რუსულ ენისა და მათემატიკის წერილობითი სამუშაო გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების უკანასკნელ კლასის მოსწავლეებმა; აგრეთვე იმ პირებმა, რომელთაც სიმწიფის მოწმობის მიღება ჰსურთ. ამავ ცირკულიარით მასწავლებელთ ევალებათ, სრულიად განუხილველი დასტოვონ ის ნამუშევარი, სადაც გამოტოვებულია ასო „ъ".

◆ ქალაქის **საბჭოს კრებას** მომავალ ორშაბათს არ მოიწვევენ რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეს გამო.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ხალხის გასართობთა მმართველმა ვერის საზოგადოებამ** დაადგინა, რომ რომანოვთა საგვარეულოს 300 წლის მეფობის აღსანიშნავი იუბილე იდღესასწაულოს მაშინ, როდესაც ცოტა ჩამოთბება.

სასწავლებლებში

◆ ივ. ზ. ტერ-სტეფანოვის სავაჭრო სკოლაში რომანოვთა გვარეულობის 300 წლის დღესასწაულის აღსანიშნავად დაარსდა **ერთი სტიპენდია.**

ამავე სკოლაში, დღეს, 21 თებერვალს, რომანოვთა გვარის დღესასწაულისა გამო, გაიმართება **დილა.**

ქუთაისი

◆ გუბერნატორმა **ხორცის ახალი ნიხრი** დაამტკიცა.

◆ ქალაქის საბჭომ მეფურნეების თხოვნა, **პურზე ნიხრის მომატებისა,** უყურადღებოდ დასტოვა.

◆ ქუთაისის ციხიდან ბათომის ციხეში **ეტაპით გაიგზავნა** ფილიას გიორგაძე, სოხუმისაში—ვლადიმერ სალონიბოვი, ტფილისაში—ბეკან კალანდაძე.

◆ **დეპუტატ გელოვანისათვის** შორაპნის მაზრიდან მ. ვ. ქ—ეს ცნობები გაუგზავნია საზოგადოთ გზების უნუგეშო მდგომარეობაზე, რაც მუშა ხალხს გაჭირვებაში აგდებსო. ამის თაობაზე 1906 წ. მეფის მოადგილის კანცელარიის საბჭოში შეუტანიათ განცხადება, აუწერიათ თუ რამდენათ საჭიროა ძველი შარაგზის აღდგენა, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინის გზის გაყვანის შემდეგ სრულიად მოისპო და ადრე ქართლ-კახეთს იმერეთთან აერთებდაო. რომ რაიმე ბუნების მოვლენამ (როგორც ეს მოხდა 1896 წ. დიდი თოვლისა და წყალდიდობის დროს) რკინის გზის მოძრაობა შეწყვიტოს, ეს ორი კუთხე ჩვენი ქვეყნისა მოწყვეტილი დარჩება ერთიმეორესაო.

ამავე ქ—ეს ისიც აუწერია, რამდენს გასაჭირშია მთელი შორაპნის კუთხე მდ. ჩოლაბურზე უხიდობის გამო. ამ ხიდის გაკეთების თაობაზე მთავრობას განკარგულებაც მოუხდენია. ნაწილი ფულისა გუბერნიის საამშენებლო განყოფილებისთვის გადაუციათო, ამბობენ, მაგრამ საქმის დაბოლოებას ვერ ვეღირსეთო.

◆ ამ ჟამად **გიორგი ჭაჭიაშვილი** რიგის საკატორღო ციხეშია დამწყვდეული. მას კავკასიის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა პოლიციელების მოკვლისა და დაჭრისათვის, მაგრამ კავკასიის მეფის მოადგილემ სიკვდილით დასჯა უვადო კატორგაზე შეუცვალა.

◆ 15 ამ თვეს ქუთაისის ოლქის სასამართლომ ბრალდების ოქმი ჩააბარა ალექსანდროვის საკატორღო ციხიდან გაპოქცეულ კატორღელ კოლია ყუფარაძეს, რომელსაც აბრალებენ სოფ. მესხეთში (ქუთ. მაზრაში) 1912 წ. 21 აგვისტოს იოსებ ნარიშელაშვილის მოკვლას.

ბათომი

◆ **ვ. მესხიშვილის საიუბილეო კომისიამ** დაადგინა: 7-სა მარტს მოიწვიოს იუბილიარი ბათუმში. ვაგზალზე ავტომობილით დაუხვდეს, იქიდან მიაცილოს სასტუმროში, აქ მოსვენების შემდეგ ავტომობილით მიიყვანონ შმაევსკის თეატრში, სადაც დაუხვდება სამხედრო მუსიკა. სცენაზე ასვლისას იმღერებს სულხანიშვილის ქორო, რომელიც საამდღეოდ იქნება მოწვეული.

ამ ცერემონიის შემდეგ წარმოდგენა გაიმართება, რომელშიაც იუბილიარი მიიღებს მონაწილეობას. წარმოადგენენ „სამშობლოდან" ერთ-მოქმედებას „ურიელ აკოსტა"-დან ერთ მოქ. და კრეჩინსკის „ქორწინებიდანაც" ერთ მოქ.

წარმოდგენის შემდეგ იუბილიარს ადრესები და საჩუქრები მიერთმევა.

სოფლად.

◆ **დ. ჩოხატაურის** (გურია) მომრიგებელი მოსამართლე ციხოცკი ქიათურაში **გადაიყვანეს,** ხოლო ქიათურისა, კრილოვი—ჩოხატაურში.

◆ **ასკანაში (გურია) გარდაიცვალა** ახალგაზრდა და გამრჯე მასწავლებელი ხარიტონ თალაკვაძე.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი

პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებულმა ქართულმა სამეცნიერო წრემ შეადგინა ქართულ მწერლობისა და დროულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. ეს ბიბლიოგრაფია პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიამ შეიძინა 250 მანათად და ცალკე წიგნად ჰბეჭდავს. წიგნი მარტში გამოვა.

რომანოვთა გვარის სამასი წლის მეფობის იუბილეი.

რომანოვთა გვარი რუსეთის ისტორიაში.

რუსეთმა, სანამ თავის განსაკუთრებულ, განსაზღვრულ სახეს მიიღებდა, სანამ იგი ჩამოყალიბდებოდა სახელმწიფოებრივ ფორმებში, სანამ იგი შესდგავდა ფეხს ევროპის კულტუროსან სახელმწიფოთა ვიწრო ოჯახში, განიცადა სახელმწიფოს მშობიარობის ღრმა ტკივილები, განიცადა საშინელი მღელვარება და ისტორიული რყევა. ასეთია კანონი ისტორიის პროგრესისა და განვითარებისა. ახალ დროს ახალი პირობები წარმოიშვება, ახალი მოთხოვნილებანი წამოჰყოფენ თავს, ერთი გაბატონებული წოდება უთმობს პირველობის ალაგს მეორე გაძლიერებულ წოდებას თუ კლასს; რასაკვირველია, ისტორიის ცვალებადობას მუდმივ თან სდევს მღელვარება და სისხლის ღვრა, ვნებათა აშლა და ბორგვა; ირღვევა ზღუდენი, რომლითაც შემოფარგული იყო ესა თუ ის სახელმწიფონი და სტიქია მთელი თავის სიმძლავრით აიშლის ფაფარს; ცხოვრება აზვირთებულ და უსაზღვრო ზღვას დაემსგავსება, რომლისთვისაც უცხოა სივრცის საზღვარი; ერის ხომალდი კი ამ ტალღებზე რხევას და ქანაობას განიცდის, ხან ერთ კლდეს მიეხლება და ხან მეორეს, თითქოს თვისი მიმართულება, გზა აერიაო; მაგრამ ეს რყევა და გზის აბნეულობა თვით არის გზა და მიმართულება ისტორიისა, ამ რყევაში იგი ჰპოებს სანდო ნავთსაყუდელს და თავის კალაპოტში დგება.

სწორედ ასეთს სურათს წარმოადგენდა რუსეთის ისტორია მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში. ეს ხანი რუსეთის ისტორიაში სისხლის წვეთებით არის ჩაწერილი და ეწოდება „მღელვარების ხანა". ეს გამოწვეული იყო წინა დროის პირობებით, ისტორიულის პროცესით. იოანე მრისხანის მისწრაფება აბსოლიუტიზმისაკენ, ბორის გოდუნოვის დროს ბატონ-ყმობის ჩანასახი, ჰბადებს მოსკოვის სახელმწიფოში უთანხმოებას და უკმაყოფილებას, ერთის მხრივ არისტოკრატიისას, რომელსაც ყოველთვის დიდი პრეტენზიები აქვს მართვა-გამგეობის სადავე ხელთ იგდოს და მეორეს მხრივ გლეხობისას, რომელსაც არაფრად ეპაშნიკა ბორის გოდუნოვების უკაზები, რაც მათ ერთი მემამულიდან მეორე მემამულესთან გადასვლას უკრძალავდა. ეს კანონები მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას და ისედაც გაძლიერებული „გასვლა გლეხობისა" ცენტრის გუბერნიებიდან უფრო გააძლიერა. ამას დაუმატეთ მოსკოვის დინასტიის დასასრული და თქვენ თვალწინ გადაიშლება იმ დროის რუსეთის მოურიგებლობის და არეულობის სურათი. ჯერ იყო და თუ შეიძლება აგრე ითქვას, სასახლის რევოლიუცია მძვინვარებდა, ტახტის ხელში ჩასაგდებად, მერე ეს რევოლიუცია გასცილდა სასახლის ზღუდეთ და ხალხს მოედო, დაიწყო ხალხის მოძრაობა და შემდეგ კი რუსეთის სახელმწიფოს დაავადებულ ორგანიზმისკენ, სნეულ რუსეთისკენ ხელი გამოიწვდინა უცხო ძალამ: პოლონეთმა და შვეციამ. მთელი დასავლეთი მხარე რუსეთის სახელმწიფოსი მტერთა ხელში იყო. შინაური მოურიგებლობა არისტოკრატიისა, ხალხის ღრმა პროტესტი და მათი გულისთქმანი და უცხოელების შიშის ზარი რუსეთის მთლიანობას ხიფათს უმზადებდა; მაგრამ აქ იფეთქა თვით სტიქიამ სამშობლოს სიყვარულისამ, რომელიც მინინსა და პოჟარსკიში განსახიერდა, თავი წამოჰყო წვრილმა აზნაურობამ და მოქალაქეებმა და სამშობლოს განსაცდელი ააცდინა. სამშობლოს ხსნა საშუალო წოდების—აზნაურობის და მოქალაქეთა საქმე იყო. ამგვარად სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში მათ უპირველესი ადგილი დაიჭირეს, რითიც ბოლო მოუღეს არისტოკრატიის მისწრაფებათა და ლტოლვილებათა. ამ საშუალო წოდებამ მოახდინა მოსკოვში, 7 თებერვალს 1613 წელს საერობო კრება, რომელშიაც თვით თამაშობდა თვალსაჩინო როლს, და ამოირჩია მოსკოვის სახელმწიფოს მეფედ ახალგაზრდა მიხეილი თეოდორის ძე რომანოვი, შვილი მიტროპოლიტ ფილარეტისა. მაგრამ სიფრთხილის გამო კრებამ თვისი საბოლოო გადაწყვეტილება გადასდო ორი კვირით; გაიგეს სხვა და სხვა ქალაქის აზრი მიხეილის არჩევანზე და 21 თებერვალს 1613 წელს მიხეილ თეოდორის ძე კრების მიერ მოსკოვის მეფედ იყო აღიარებული. ამ დროს ახალგაზრდა მეფე იპატიევის მონასტერში, კოსტრომის ახლოს, იყო თავის დედითურთ ჩაკეტილი და სიკვდილის შიშს განიცდიდა. იგი დაღუპვისაგან იხსნა ივანე სუსანინმა. მიხეილი არ სთანხმდებოდა კრების გადაწყვეტილებას, მაგრამ ხანგრძლივი თხოვნის შემდეგ, 14 მარტს 1613 წელს მიიღო თვის გამგებლობაში მოსკოვის სამეფო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დროს დიდი ცვლილება მოხდა რუსეთის მართვა-გამგეობაში. წინად რუსეთის მეფეებს მთელი სამეფო თვის მემკვიდრეობითი საკუთრებად მიაჩნდათ, როდესაც მეთექვსმეტე საუკუნეში ხალხის მოძრაობამ მწვავე ხასიათი მიიღო და თვისი ხმა ამცნო სამეფოს ბელადებს, მეფეების შეხედულებაც შეიცვალა სამეფოზე. ხალხი და სახელმწიფო მათთვის საკუთრებას კი არ შეადგენდა, არამედ ერთ ძლიერ სტიქიას, რომლის მართვა-გამგეობისთვისაც საჭირო იყო საერობო საბჭო. სწორედ ამისთვის ახლად არჩეულმა მეფემ თვის მეფობის პირველ ხანებში არ დაითხოვა საერობო კრება, და მასთან ერთად განაგებდა სახელმწიფო საქმეებს, მით უმეტეს, რომ წარსულმა მღელვარებამ და ომიანობამ ხალხი სულმთლად [illegible], მოსალოდნელი იყო ახალი არეულობა, რომელიც უფრო მწვავე ხასიათს მიიღებდა, რადგანაც ეკონომიურად გლეხობა უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა და გაცრუებული იმედებიც უფრო აორკეცებდა მის უკმაყოფილებას. მეფე ვერ კისრულობდა ამ რთულ და გაჭირვებულ დროს პასუხის-მგებლობას და საერობო კრების დახმარებით შეუდგა სახელმწიფოებრივ მუშაობას. მეფეს მოუხდა სახელმწიფო მტრებთან ბრძოლა, ორ ფრონტზე—შინაურებთან და გარეშე მტრებთან. ყაზახების ბრბონი ზარუცკის მეთაურობით განაგრძობდნენ მღელვარებას და შფოთს, პოლონეთის მეფე კი სიგიზმუნდი ვერ ისვენებდა და ხელიდან წასულ სახელმწიფოს დაბრუნებას ჰლამობდა. მოსკოვის სარდლებმა მოსპეს მთავარი ბრბო ზარუცკისა, მაგრამ წვრილ-წვრილი ბრბოები დონისა და ვოლგის სამხრეთით არა ნაკლებ იყვნენ საშიში. ამათაც ამოსდო ლაგამი მთავრობამ და ამ მხრივ მოსკოვის სამეფოში შედარებითი მშვიდობიანობა გამეფდა. შვედებთან ბრძოლა რუსეთისთვის საზარალო ზავით დასრულდა. შვეციელებს დარჩათ ფინის სანაპიროები, რომელიც ყოველთვის იზიდავდა თავისკენ რუსის მეფეების ყურადღებას და რომლის ჩასაგდებად დიდი გაჭირვება და ზარალი გამოიარეს. სიგიზმუნდი მიხეილ თეოდორის მეფობას უკანონოდ სთვლიდა და თავის პრეტენზიებს აცხადებდა რუსეთის ტახტზე. მოსკოვის ხელში ჩაგდების იმედი აღარა ჰქონდა სიგიზმუნდს; იგი მოითხოვდა სმოლენსკის და სხვა ქალაქების დაბრუნებას. ბრძოლამ რუსეთსა და პოლონეთს შორის უნაყოფოდ ჩაიარა. ჩამოაგდეს დროებითი ზავი 14½ წლით. სმოლენსკი და სხვა ქალაქები დროებით დაუთმეს პოლონეთის მეფეთ და სამაგიეროდ რუსებმა მოითხოვეს მიტროპოლიტ ფილარეტის, მეფის მამის განთავისუფლება. ფილარეტის დაბრუნებისას, რუსეთში პატრიარქობა აღორძინდა. პატრიარქად აირჩიეს ფილარეტი, რომელიც სახელმწიფოს საქმეებში ცხოველ მონაწილეობას იღებდა. მანვე მიიღო „დიდებულ ხელმწიფის" ტიტული. ამრიგად რუსეთში ორ მეფეობა დაიწყო. წოდებათ შორის უთანხმოება და მოურიგებლობა ჰსუფევდა. მთავრობა ცდილობდა, როგორმე მოეწესრიგებინა მათი ურთიერთობა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მიზანს ვერ აღწევდა. მსხვილი მემამულენი უკმაყოფილონი იყვნენ საშუალო წოდების გაძლიერებისა; აზნაურნი მოითხოვდნენ, გლეხთა მოძრაობა და გადასვლა-გადმოსვლა მოესპო მთავრობას. ყველა ამას დიდი ენერგია და ნიჭი სჭირდებოდა; სწორედ ამით აიხსნება, რომ მთავრობის ცდა ამაო იყო. მიხეილ თეოდორის ძის შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი ალექსი (1645—1676). მის მეფობაში ღირს-შესანიშნავია 1649 წლის კრების დებულება. როგორც მოხსენებული გვქონდა წოდებათა და კლასთა შორის მოურიგებლობა ჰსუფევდა. კანონი არ იყო აღჭურვილი სათანადო ძალით და თვით კანონმდებლობასაც არ ჰქონდა განსაზღვრული სახე. კანონს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. რუსეთის ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა ძალა-მოკრებილი ახალი წოდება—საშუალო. ამ წოდებამ ძირი გამოუთხარა არისტოკრატიას და სამღვდელოების ძალას. საჭირო იყო მთავრობას ანგარიში გაეწია ამ ძალისთვის. ძველი კანონები, იოანე მრისხანის „სუდებნიკი" და კორმჩის წიგნი—არ შეეფერებოდა ცხოვრების ახლად წარმოშობილ პირობებს და მოთხოვნილებებს. ფრიად საგრძნობი იყო საჭიროება კანონებისა. ალექსი მეფემ მიანდო კრებას ოდოევსკის თავმჯდომარეობით შეემუშავებინა ძველის და მიხედვით ახალი კანონები. შეეკრიბა ძველი და დაემატებინა ახალი კანონები. კრებამ ერთ წელიწადს იმუშავა კანონების შესადგენად. ახალმა კანონებმა დიდი ზიანი და ზარალი მიაყენეს არისტოკრატიას და სამღვდელოებას, არც თუ გლეხობას და მდაბიო ხალხს შეჰმატეს რამე. არისტოკრატიას და სამღვდელოებას ბევრი უპირატესობანი წაერთვა, გლეხები თანდათან ვიწროვდებოდნენ უფლებებით. ბატონ-ყმობის განვითარების პროცესი სწორე გზით მიმდინარეობდა. სამაგიეროდ უპირატესი ალაგი მიაკუთვნეს საშუალო წოდებას. ამ რიგად კანონებმა უკმაყოფილება დაჰბადეს უმაღლეს კლასებში და მდაბიო ხალხში. მდაბიო ხალხი მონობის მოლოდინით თავზარდაცემული დონისკენ გაეშურა, სადაც თვალუწვდენელ ველებზე ჰპოებდა სიმშვიდეს, იქ მოიყარეს თავი უკმაყოფილოებმა, მაგრამ ცხოვრების სალარი არავითარი იყო. მშიერნი და მწყურვალნი საშინელ გაჭირვებას განიცდიდნენ. ეს გაჭირვებულნი და მშიერ-წყურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილნი შეგროვდნენ სტენკა რაზინის გარშემო და დაიწყეს ძარცვა-გლეჯა და დარბევა სპარსეთის საზღვრებისა. რაზინის ჯარმა დიდი სახელი მოიხვეჭა. იგი უკვე კასპიის ზღვაზე არ დანავარდობდა, მან პირდაპირ იერიში მიიტანა ვოლგით მოსკოვზე და აქაც სტენკამ დაიპყრო ვოლგის პირას მდებარე ქალაქები: ცარიცინი ასტრახანი, სარატოვი, სამარა და ამ რიგად სიმბირსკამდე მიაღწია. საგულისხმო მოვლენაა, რომ ხალხი გულად რაზინის ლაშქარს თანაგრძნობით ეგებებოდა. ასე ძლიერი იყო უკმაყოფილება ხალხში. სტენკას ლაშქარი მოსპეს და თვით სტენკაც მოსკოვში სიკვდილით დასაჯეს. მაგრამ ეს მოვლენა რუსეთის ისტორიაში ფრიად თვალსაჩინო და ყურადსაღებია. სტენკა რაზინის მოძრაობა გამოწვეული იყო გლეხთა წინააღმდეგ მიმართულ ზომებით და კანონებით. აქ ხალხის ღრმა აღშფოთებამ ბუნებრივი გამოხატულება მიიღო მთავრობის საწინააღმდეგოდ, თუ ალექსის მეფობა აღნიშნა ხალხის ძლიერ მოძრაობით, რომელიც ეკონომიურის პირობებით იყო გამოწვეული, არანაკლების ძალით წამოიჭრა მის დროს სარწმუნოებრივი მღელვარება. ეს იყო რკინის პატრიარქის ნიკონის დროს. ნიკონმა სარწმუნოების საქმეში რეფორმები მოახდინა სამღვთო წერილების წიგნებში გადაწერის დროს აუარებელი შეცდომები იყო შეპარული. ეს შეცდომები რუსის ერმა შეითვისა, ტრადიციის ძალით ქრისტიანობის სინონიმებად აღიარა. ბევრგან ქრისტიანული მცნება პირდაპირ დამახინჯებული იყო. აი ამის შესწორება მოინდომა ნიკონმა. მან საბერძნეთის ეკლესიას დაუქვემდებარა რუსეთისა რადგანაც სიწმინდე ქრისტიანულ მცნებისა იქ უფრო იყო დაცული. ამან საშინელი მღელვარება გამოიწვია ხალხში. ნიკონის წინააღმდეგ შესდგა ძლიერი ოპოზიცია პროტოპოპ ავააკუმის მეთაურობით. რუსეთის ეკლესიაში განხეთქილება მოხდა. სტაროობრიადელები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ნიკონის რეფორმებს. ამ მოძრაობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. დაიწყო აზრთა რყევა. დაარსდა სხვა და სხვა სექტები. ალექსის მეფობის დროს რუსეთში მძლავრად შემოიჭრა ევროპის კულტურა. დაიწყო ორ კულტურის ბრძოლა რუსეთისა და ევროპისა. ჩვენ დავინახავთ რომ გამარჯვება ევროპის კულტურას დარჩა, როგორც უფრო წარმატებულს და პროგრესიულს. ალექსი მიხეილის ძის შემდეგ რუსეთის სამეფო ტახტი ჰხვდა მის შვილს თეოდორეს. მისი მეფობა პიროვნების უფერობის გამო უფერული იყო. გარნა სწავლა-განათლება უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს რუსეთში. მის მეფობის დროს დაარსდა სლავიან-ბერძენ ლათინთა აკადემია. მეფემ განიზრახა ჯარის საქმეებში რეფორმები მოეხდინა. „გვარიშვილობა" დიდ ზიანს აყენებდა სამხედრო დისციპლინას და აი, თავ. გოლიცინმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა რეფორმის შემუშავება, პირველი იერიში მიიტანა ამ „გვარიშვილობაზე".

მიხაკო.

(შემდეგი იქნება)

სასამართლო

კამო ტერ-პეტროსოვის გაქცევის საქმე.

(შემდეგი *)

საგანგებო საკრებულოს სხდომა 19 თებერვალს საღამოსაც გაგრძელდა. 19 თებერვალს საკრებულომ მხოლოდ მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა დაასრულა.

მოწმეებმა ორბელმა და საავადმყოფოს სხვა ექიმებმა ბრალდებულთათვის ხელსაყრელი ჩვენება მისცეს. მათ სთქვეს, რომ ზედამხედველებსა და მოსამსახურეებს ადვილი შესაძლებელია არა სცოდნოდათ, რომ ტერ-პეტროსოვი ასეთი მკაცრი მოსაპყრობი იყო. მათთვის ტერ-პეტროსოვი მხოლოდ ავადმყოფი იყოო.

მოწმემ **კარჩაგინმა** აჩვენა, რომ საავადმყოფოს სულით ავადმყოფთა განყოფილებაში მსახურობის დროს იმას ხშირად უნახავს, რომ ზედამხედველები გრიგორიევი და კახეთელიძე დროებით სადილის საჭმელად მიდიოდნენ.

თავმჯდომარე. სად მიდიოდნენ?

მოწმე. იქავე თავიანთ ბინაზე ავადმყოფებს კი კარ-ჩაკეტილებს სტოვებდნენ.

ნაფ. ვექ. ბარათაშვილი. როდის იყო ეს ამბავი. როდის მსახურობდა მოწმე ამ განყოფილებაში.

მოწმე. თავი დავანებე იქ სამსახურს ტერ-პეტროსოვის გაქცევის სამის თვის წინედ. მას შემდეგ რა ხდებოდა არ ვიცი.

მოწმე **იაროსინსკი** (გაქცევის დროს ტფ. მაძებარ პოლიციის უფროსის თანაშემწე) ამოწმებს, რომ ბრალდებული ბრაგინი ქუთაისიდან ტფილისში ეტაპით ჩამოიყვანეს და პირდაპირ მეტეხის ციხეში წაიყვანეს. მეტეხის ციხიდან კი მაძებარ პოლიციის უფროსის განკარგულებით მოიყვანეს ჩემს კაბინეტში, სადაც მოხელეთა თანადასწრებით ჩამოვართვი ჩვენება.

ნაფ. ვექ. გრუზენბერგი. როგორ ჩამოართვით ჩვენება მაძებარ პოლიციაში, როდესაც ამ დროს სასამართლოს გამოძიება სწარმოებდა.

მოწმე გადაჭრილ პასუხს არ აძლევს, მხოლოდ ამბობს, რომ ასეთი მაგალითები მოხდება ხოლმე. დაწვრილებით ცნობები კი უკანასკნელ ჩვენებაში არის და გამოაქვეყნეთო.

საკრებულომ ეს ჩვენება გამოაქვეყნა, მაგრამ ნაფ. ვექ. **გრუზენბერგი** სთხოვს საკრებულოს, რომ წინა ჩვენებაც გამოაქვეყნოს, რადგან პირველ ჩვენებაში სწერია, რომ მოწმეს არაფერი არ ახსოვს და რამდენიმე თვის შემდეგ კი უეცრად ასეთი დაწვრილებითი ამბავი მოჰყვა. საკრებულომ დაადგინა, გამოაქვეყნოს ეს ჩვენება.

ნაფ. ვექ. **გრუზენბერგი.** როგორ მოხდა რომ მოწმეს პირველ ჩვენების ჩამორთმევის რამდენიმე თვის შემდეგ გაახსენდა დაწვრილებით ამბავი?

მოწმე. იმიტომ რომ ჩვენების წინ გამოძიების საპოლიციო ოქმი წავიკითხე.

ნაფ. ვექ. **გრუზენბერგი** შუამდგომლობს, ეს სიტყვები ოქმში იქნას შეტანილი.

ნაფ. ვექ. თან. **კეპინოვი** შუამდგომლობს ჩვენება ჩამოართვან ბრალდებულ ბრაგინს, რადგანაც უკანასკნელი უარჰყოფს იაროსინსკის სიტყვებს. სასამართლომ ნება დართო.

ბრალდებული **ბრაგინი.** იაროსინსკი სიმართლეს არ ამბობს ჩვენების იმ ადგილის შესახებ, სადაც მე „კოტეზე" ვლაპარაკობდი. მაძებარ პოლიციაში მცემდნენ და იაროსინსკიმ ძალით ჩამათქმევინა ცინცაძეზე. ცინცაძეს არ ვიცნობ. ის „კოტე" არ არის. ზედამხედველებმა და მოსამსახურეებმა გაქცევისა არაფერი იცოდნენ, რადგან ხერხი ტერ-პეტროსოვს მე მიუტანე და იგი ჩემი მორიგეობის დროს აკეთებდა საქმეს. მართალია წერილები წავუღე ტერ-პეტროსოვის დებს, მაგრამ მათგან კი არაფერი არ მომიტანიაო.

რადგანაც მის ჩვენებებში წინააღმდეგობა დაინახეს, წინანდელი ჩვენებანი წაიკითხეს.

ქალ. ნასიბოვისა (ცინცაძის ნადიასახლისარი). ცინცაძე ჩემთან სამი თვე იდგა, ცალკე ოთახი ეჭირა. მას „კოტეს" ვეძახოდი. მაგრამ არ ვიცი რატომ. სხვები ამ სახელს არ უხმოდებდნენ. ცინცაძესთან არავინ არ დაიარებოდა.

სტ. ნასიბოვიც და მისი დაც ამასვე ამტკიცებენ.

ბრალდებული ცინცაძე ეკითხება ნასიბოვის ქალს, ხომ არ ახსოვს, რომ როდესაც პასპორტით ბინის წიგნში სწერდნენ, იცინოდნენ რა ძნელი გამოსათქმელია ალიპი (ცინცაძის სახელი) და ამიტომ თითონვე მისცეს წინადადება, ნიკოლოზს ან კოტეს დაგიძახებთო.

მოწმე ამას ამოწმებს.

დანარჩენმა მოწმეებმა ბრალდებულთათვის სასარგებლო ჩვენება მისცეს.

მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა დასრულდა 19 თებერვალს, ღამის 12 საათზე და საკრებულოს სხდომა შესწყდა 20 თებერვლის ნაშუადღევის ორ საათამდე.

(დასასრული იქნება)

ს. კარდანახის წვრილი კრედიტის ამხანაგობა

ს. კარდანახში წვრილი კრედიტის ამხანაგობა დაარსდა 1912 წ. მაისის 29-ში. ამ რიცხვიდან იწყება ბანკის მოქმედება, რომლის მეთაურთა წყალობით კარგს ნიადაგზე დაყენებული. დღეს გამგეობაში ირიცხება: თავჯდომარე გამგ. ი. დ. ფორაქიშვილი, საქმის მწარმოებლად—ს. გულიაშვილი და ხაზინადრად ქ. ბასილოშვილი, საბჭოს თავჯდომარედ—პ. დარაშვილი, წევრებად—წყალობა ყარაბეგოვი და ლაზარე სესიაშვილი.

იანვრის 29 მოხდა საზოგადო კრება, რომელზედაც დაესწრო წვრილ კრედიტთა ინსპექტორი ფიფორსი გამგეობის და საბჭოს წევრნი და სამასამდე ამხ. წევრი.

გამგეობამ კრებას წარუდგინა წლიური ანგარიში, რომელიც განიხილეს და დაამტკიცეს.

როგორც ანგარიშიდან სჩანს ამხანაგობას 7 თვეს უმოქმედნია. პირველად ჰყოლია ამხანაგობას 39 წევრი, დღეს კი 373 წევრი ჰყავს. ძირითად თანხად ჰქონიათ 2000 მ., მოკლე ვადიანი სესხი 7000 მ. წევრებს ნდობა ჰქონიათ 25420 მან. შვიდი თვის განმავლობაში ამხანაგობას გაუტანიათ სრულიად 9000 მან. შესანახად შემოუტანიათ 730 მ. სარგებელი შემოსულ 696 მ. 25 კ. ხარჯი: დავთრები, წვრილმანი ხარჯი და ავეჯი 110 მ. 11 კ., სახლის ქირა 49 მ., უკან მიცემული სარგებელი 6 მ. 90 კ., სარგებელი სახ. ხაზინას 252 მ. 22 კ., სულ ნაღდი მოგება დარჩენია ამხანაგობას 278 მ. 22 კ.

საზოგადო კრებამ მოგება ასე დაანაწილა: საკუთარ ძირითად თანხად გადასდო 120 მ., სათადარიგო თანხად—60 მ., საკუთარ სახლის ასაგებად 50 მ., სხვა და სხვა საქმის საშუამავლოდ 30 მ. და ავეჯის შესაძენად 18 მ. 20 კ.

ბ. ვიფორსმა ამხანაგობას უსურვა, რომ როგორც ეხლა გაქვთ საქმე დაყენებული, შემდეგაც ასე და უფრო ფართე ნიადაგზე დაგეყენებინოთ ამხანაგობის მოქმედებაო. რადგანაც კარგად იყო ნაწარმოებელი საქმე, დაჰპირდა ამხანაგობას მომატებას 5000 მან. მოკლე ვადიანი სესხი, 5000 მ. გრძელ ვადიან, რომლითაც წელსვე შეუძლიანთ ისარგებლონ. გარდა ამისა აღუთქვა კიდევ 2000 მ. იმ საჭიროებისათვის, თუ ვინიცობაა შესანახად შეტანილი ფული დასჭირდა უეცრად და ბანკს კი არ მოეპოვება ჩაბაროს. კრებამ უღრმესი მადლობა გადაუხადა, როგორც ვიფორს ისე გამგეობა-საბჭოს უფასოდ შრომისთვის.

აღსანიშნავია რომ ჯერ-ჯერობით რიგზე მიდის საქმე, როგორც ვსთქვი გამგეობის მხრით. მით უმეტეს რომ თვით ინსპექტორი ვიფორსი და სრულიად წვრილ კრედიტის რევიზორნი განცვიფრებაში მოდიან, ისე კარგად არის ნაწარმოებელი საქმე. მიუხედავად იმისა რომ კარდენახის წვრილი კრედიტის ამხანაგობა არსებობს მხოლოდ შვიდი თვე, მოიპოვა ისეთი ნდობა, რომელის მაგალითიც ჯერ არ არის სხვა სოფლებში. დღეიდან ამხანაგობას შეუძლიან ამოქმედოს 21,000 მ., რომელიც უკვე მოეპოვება. წელს კიდევ ამხანაგობას გადააკეთებენ შემნახველ-გამსესხებელ დაწესებულებად და ხუთი მანეთი პაი უნდა დაწესდეს. წელს გამგეობა იწერს შაბიამან-გოგირდს 10000 მანეთისას, რომელსაც ნისიად ანდობენ ერთის წლით. ასე რომ წელს კარდანახის წვრილი კრედიტის ამხანაგობას აქვს უკვე 31,000 მან.

ვუსურვებ წარმატებას.

კარდანახელი.

წერილები პეტერბურგიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

როგორც კი მოვიდა ცნობა პოლონეთიდან პოლონეთის კულტურულ საზოგადოების დახურვის შესახებ, პეტერბურგში მცხოვრებ პოლონელთა შორისაც დიდი უკმაყოფილება გაჩნდა. ვარშავიდან ცნობა მოდიოდა, რომ ეს საქმე პოლ. კოლოს განესაჩივრებინა სათათბიროში. მერე კი ხმები დადიოდა, რომ პოლონელთა კოლო განიზრახავს დემონსტრატიულად უარი განაცხადოს თავიანთ უფლებაზე, ე. ი. დეპუტატობაზეო. ჩვენ შევეკითხეთ ზოგიერთ პოლონელ დეპუტატს და ამ ხმების დადასტურება უარჰყვეს. იმათ თურმე ჯერ არც კი მიუღიათ დაწვრილებითი ცნობები, თუ რამ გამოიწვია საზოგადოების დახურვა. თუ როგორ შევხვდებით ამ საკითხს ჯერ არ გამოგვირკვევია, მაგრამ სახელმწიფო სათათბიროდან წასვლა აზრადაც არ მოგვსვლიაო.

⁂

ს.-დ. დეპუტატ იაგელოს ბედი ახლა უკვე უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს. მართალია კომისიამ არ დაამტკიცა მისი არჩევნები, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, იმიტომ რომ მემარცხენეები რასაკვირველია, მხარს დაუჭერენ და ხმას მისცემენ. საკითხი მემარჯვენეებზე იყო. თუ კი ისინი იტყოდნენ უარს მაშინ გათავებული საქმე იქნებოდა. მაგრამ მემარჯვენეებს და ნაციონალისტებს გადაუწყვეტიათ ხმა იაგელოს სასარგებლოდ მისცენ, რადგან მათი აზრით სათათბიროში ს.-დ.-ის **ყოფნა უფრო სასურველია, ვიდრე პოლონელთა ეროვნული ინტერესების დამცველ დეპუტატისაო...**

⁂

რომანოვთა გვარის იუბილეს გამო ბევრს დიდი იმედი დაბადა, რომ იქნებ რომელიმე მათგანს ბედმა გაუღიმოს და რამე წყალობა ხვდესო. თხოვნები, რომელიც შემოდის შეწყალების აღმოჩენისათვის, იმდენი მოგროვდა, რომ სოლოდინს გადააჭარბა. სულ ჯერჯერობით შემოსულა **სამი მილიონი თხოვნა** და იმედი აქვთ 20—21-სათვის ოთხმდე ავიდეს. ამიტომ როგორც გავიგეთ, ან სრულიად უყურადღებოდ დასტოვებენ ყველა თხოვნას, ან და ისე მცირე იქნება შეწყალება, რომ მოსალოდნელზე ძლიერ ნაკლები. თხოვნების გასარჩევად დანიშნულია განსაკუთრებული კომისია, რომელიც ამ მოკლე ხანში შეუდგება საქმეს.

⁂

27 თებერვალს პეტერბურგში გაიმართება **ილია ჭავჭავაძის** სახელობის სალიტერატურო უფასო საღამო. საღამოს მართავს ქართული სათვისტომო და მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი პირები: თავმჯდომარედ იქნება მ. მ. კოვალევსკი, რომელიც თავის მოგონებას წაიკითხავს. მერე პრ. დოც. ნ. ს. დერჟავინი, გრ. რობაქიძე და ს. პ. დადიანი. ბოლოს გაიმართება დეკლამაცია. საღამო დაიწყება სათით. წევრის ვ. გელოვანის მოკლე სიტყვით.

შ. დ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„Кавказская школа" 1913 г. январъ № 1.

ტფილისში გამოვიდა ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალის „Кавказская школа"-ის პირველი ნომერი. ჟურნალის მთავარ ხელმძღვანელად ითვლებიან „პროგრესისტების" ჯგუფის სახელით მომუშავე სომხის ინტელიგენციის წარმომადგენელი პედაგოგები ხაჩ. სამუელიანცი, ი. აკუნოვი და ქალთა უმაღლესი კურსის ლექტორები კაზანცევი და სპილიოტი და სხვ. ჟურნალი, როგორც ამ პირველი ნომრის მეთაური წერილიდან სჩანს (წერილი ეკუთნის რედაქტორს ხაჩ. სამუელს) ემსახურება ადგილობრივ განათლების ინტერესებს და მიზნად აქვს ადგილობრივი საპედაგოგიო საკითხების წამოყენება: (იხ. „Кавказ. шк." № 1, стр. 1.

ყველა ეს ფრიად სასიამოვნოა და უნდა ვისურვოთ, რომ მისმა ხელმძღვანელებმა სავსებით გამართლონ თავისი დაპირება. მაგრამ ამ პირველი ნომრის ზოგიერთი რამ ვერ იძლევა ჩვენთვის ამ მხრით საიმედო რასმე.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ჟურნალის ხელმძღვანელნი ამ თავითვე იჩენენ ადგილობრივის ცხოვრების სრულს უვიცობას, და ეს ასეც უნდა იყოს: არც რედაქტორი ბ. სამუელიანცი და არც ბ. სპილიოტი, რომლებიც ეხებიან ადგილობრივი ცხოვრების შესახებს საკითხებს იოტის ოდენათაც არ იცნობენ იმ ხალხის ენას, რომლის სწავლა-განათლებასა და კულტურულ საკითხებს ისინი ეხებიან. ამიტომაც აქ ჩვენის ძალად მაცხონეების წერილები მხოლოდ მათი მტკნარის **უმეცრების** მომასწავებელია. მაგრამ უმეცრება ჯერ კიდევ ცოდვა როდია: უმეცრება სავალალო მაშინ არის, როდესაც მას თან ახლავს რაღაც წინადვე ამოჩემებული აზრები. მაგრამ სჯობს თითონ ჟურნალის პირველი ნომერი ვალაპარაკოთ.

ჟურნალის 25—26 გვ. მოთავსებულია ბ. სპილიოტის წერილი სათაურით отъ школы до университета: წერილის ავტორი სხვათა შორის სცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსების ბატონობამდი საქართველოში განათლების ნასახიც კი არ ყოფილა, რადგან საყოველთაოდ პირველ-ყოფილი წყვდიადი (первобытный мракъ) იყო გამეფებულიო. მაგრამ ფაქტები?

ფაქტები ნასესხებია იმ დროინდელის კავკასიის მმართველის თ. ციციანოვის წერილებიდან, რომლებიც დასტამბულია შრომაში Акты Кавк. Арх. Ком. т. I. რომ მეტი ნდობა მოიპოვოს მკითხველის თვალში ამ ცნობებს წერილის ავტორი გვაცნობს თ. ციციანოვს, როგორც საქართველოს საუკეთესო შვილს, მაგრამ, საბედნიეროდ, აღზრდილს რუსეთში, და კავკასიისა და ამიერ-კავკასიის მმართველს, თუმცა სულითა და გულით რუსს, მაგრამ მაინც ქართველების მონათესავესა და მათის წყვდიადისაგან დახსნისა და განათლების გზაზე დაყენების მსურველს.

ხსენებულის მასალის მიხედვით ავტორი გადაგვიშლის მე-19 საუკ. დასაწყისის საქართველოში განათლების სანატრელ მდგომარეობას:

(დასასრული იქნება)

ი. ბ.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

19 თებერვალი.

სოფია. სახალხო კრებამ განიხილა 50 მილიონის გადადების საკითხი ჯარის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

უსკიუბი. ჩამოვიდა გენერალი პაპრიკოვი, როგორც ბულგარეთის დელეგატი.

„ნეი-ფრეი-პრესსეს" ცნობაა, ვითომც ალბანეთში მიშულიყოს იპეკის მუტესარიფი ახალგაზრდა ოსმალებით ალბანეთის ასაჯანყებლად სერბიის წინააღმდეგ, სიმართლეს მოკლებულია. სერბიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ალბანეთის ამბოხება ფართე ხასიათს ვერ მიიღებსო.

ვალონის მახლობლად, ჯავიდ-ფაშის ჯარის ნაწილი 6000 კაცს უდრის. ჯარის-კაცებს არ გააჩნიათ არც ფული, არც იარაღი. წესრიგსაც აღარ ემორჩილებიან.

ათინა. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სმირნის ციხეებში ქრისტიან ტუსაღებს საშინლად აწამებენო. 15 ქრისტიანი ტუსაღი კატორღ მისჯილებს გადასცესო. ელჩებმა ყურადღება მიაქციეს ოსმალთა ამ საშინელ საქციელს.

ათინა. ფილიპიადიდან იუწყებიან, რომ ჯარი, რომელიც მეცოვიდან მოძრაობს, მდინარე არასტოსკენ მიემართება. 15 თებერვალს ოსმალეთის რაზმმა იერიში მიიტანა საბერძნეთის რაზმებზე იანინ-ფილიადესის მახლობლად, მაგრამ უკუქცეული იყო. ოსმალებს მოუკლეს 100 კაცი. მეორე დღეს, 500 ჯარის-კაცი არტილერიით, შეეცადა დაეჭირა პოზიცია ლიბსკანი, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

ათინა. 18 თებერვალს, ბერძნების გემთა დივიზიონმა ტრანსპორტების შემწეობით აიღეს სანტი-კვარანტა. ოსმალეთის არტილერია მთლად განადგურებულია.

გაზეთებიდან.

ოსმალეთის ფლოტი.

სტამბოლიდან იტყობინებიან: დარდანელიდან მოსულმა სამგზავრო გემმა ცნობა მოიტანა, რომ 15 თებერვალს მან შეამჩნია ოსმალეთის ესკადრა, რომელიც ქ. გალიპოლის მაღლობებს ზარბაზანს უშენდა. სტამბოლს დაბრუნდა ორი ტრანსპორტი, რომელზედაც გალიპოლს გაგზავნილი 2500 ჯარის-კაცი იყო, ხვალ კიდევ ორ ტრანსპორტს მოელიან.

ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდალი.

სტამბოლში ლაპარაკობენ, რომ ჯარის მთავარ-სარდალი იზეთ-ფაშა სამსახურიდან გადადგება, რადგან დიდ ვეზირსა და ენვერ-ბეისთან მუდამ უთანხმოებაშიაო. იზეთ-ფაშა დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას თხოულობს, ხოლო მაჰმუდ-შევქეთ-ფაშა და ენვერ-ბეი მისი მოქმედების კანტროლის მომხრეთ არიან.

გალიპოლის ჯარის უფროსი.

გალიპოლის ოსმალთა ჯარის უფროსად, ნაცვლად დათხოვნილ ბეხრი-ფაშისა, მაჰმედ-ალი-ფაშა დანიშნეს.

მოგერებული იერიში.

14 თებერვალს ჩათალჯასთან ოსმალეთის ჯარის მარცხენა ფრთამ იერიში მიიტანა ბულგარების სანგრებზე, მაგრამ მეექვსე დივიზიამ არტილერიის ფიცხელი სროლით უკუაგდო იგი. ოსმალებს ძვირად დაუჯდათ ეს იერიში, რადგან უკუქცეულ ჯარს გაშლილ მინდორზე მოუხდათ გავლა.

ზავის მოლოდინში.

დიდმა ვეზირმა მაჰმუდ-შევქეთ-ფაშამ ოფიციალურად მიჰმართა რუსეთის ელჩს სტამბოლში, აღძრა საკითხი, რათა დიდმა სახელმწიფოებმა კვლავ გვიშუამდგომლონ მოკავშირეებთან ზავის ჩამოგდების საქმეში. ოსმალეთი მზადაა დაუთმოს ბულგარეთს ადრიანოპოლი, ხოლო ეგეის კუნძულების ბედის გადაწყვეტა ევროპას მიანდოს.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

19 თებერვალი.

სოფია. სახალხო კრებაზე 50 მილიონის გადადების საკითხის განხილვის დროს, დემოკრატების ბელადმა მალინოვმა განაცხადა, რომ ბულგარეთ-რუმინიის დავაში ევროპის შუამავლობა უნდა უარვყოთო. მთავრობას არ შეეძლო კრების დაუკითხავად მიეღო შუამავლობა, რადგანაც საკითხი ტერიტორიის დათმობას ეხება და ამის ნება კი კრების თანხმობის განუცხადებლივ მთავრობას არ აქვსო. მალინოვი შეეხო კუცოვლახების საკითხს და სთქვა, რომ ბულგარები რუმინიაში იმავე უფლებით უნდა იყვნენ აღჭურვილნი, რასაც რუმინია კუცოვლახებისთვის მოითხოვსო. ახალგაზრდა ლიბერალთა მეთაურმა ტონჩევმა მოითხოვა, კრებას ამცნონ ლონდონის ოქმი ბულგარეთ-რუმინიის დავის თაობაზეო. ფინანსთა მინისტრმა თხოვნის შესრულება აღუთქვა და კრებას სთხოვა მოთმინება იქონიოს, რადგანაც მშვენივრად დაწყებული საქმე უკვე ბოლომდის მიდისო.

სოფია. დიდ სახელმწიფოთა შუამავლობის თაობაზე ზავის საქმეში გაზეთი „მირი" სწერს: მოკავშირეთა პასუხი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ოსმალეთი მიიღებს მოულაპარაკებლივ მოკავშირე სახელმწიფოთა საერთო ფორმულას. დიდ სახელმწიფოებს შეუძლიანთ მოარიგონ მხოლოდ წვრილმან საკითხებში. საომარი მოქმედება არ შესწყდება. ომის შედეგი დიდ გავლენას იქონიებს მოლაპარაკების მიმდინარეობაზედო.

ბერლინი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რუმინიას ჰსურს რუმინია-ბულგარეთის დავა გადასაწყვეტად გადასცეს ელჩთა თათბირს პეტერბურგში საზონოვის თავმჯდომარეობით.

გაზეთებიდან.

ალბანეთის საზღვრები.

ელჩთა კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე გამოირკვა, რომ რუსეთისა და ავსტრიის თვალსაზრისთა შორის უთანხმოება აღარ არსებობს. თათბირმა პრინციპიალურად აღიარა რომ ქ. იპეკი, დიბრი, დიაკოვო და პრიზრენი მოკავშირეებს დაუთმოს. მიუხედავად ამისა, თათბირის შედეგი გამოუქვეყნებელი დარჩა შემდეგის მოსაზრებით: როგორც ვიცით, ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი თანხმა იყვნენ სკუტარი ალბანეთის საზღვრებში დარჩენილიყო იმ პირობით, თუ ავსტრია სხვა საკითხებში არ წინააღუდგებოდა სამთა შეთანხმების სახელმწიფოებს. მაგრამ საქმეს ახლა ის გარემოება ართულებს, რომ ჩერნოგორია ცდილობს სკუტარის აღებას და გადჭრით აცხადებს, რომ აღებულ ქალაქს ნებით არავის დაუთმობს ამიტომ შესაძლებელია ჩერნოგორიის მიერ სკუტარის აღებამ სრულიად შესცვალოს ელჩთა კონფერენციის დადგენილებანი და მაშინ ავსტრიის მიერ განზრახული დათმობანი ისევ სადავოდ გახდეს.

სომეხთა საკითხი.

რამდენიმე ხნის წინად სპარსეთის სომხებმა დეპეშით მიჰმართეს რუსის მთავრობას, გვიშუამდგომლე, რომ სომხების მდგომარეობა ოსმალეთში გაუმჯობესდეს რეფორმების შემოღებითო. ამ დღეებში თეირანის სომეხთა ნაციონალურმა საბჭომ მთავარი კონსულის პირით მიიღო რუსეთის მთავრობის პასუხი, რომ რუსეთი სიამოვნებით ეგებება სომეხთა შუამდგომლობას, რადგან ოსმალეთის სომხების დაცვა მის მუდმივ საზრუნავ საქმეს შეადგენს და ამიტომ, როდესაც კი შესაფერი დრო დადგება, რუსეთის მთავრობა ყოველივე ღონისძიებას იხმარს, რათა დაიხსნას სომხები ოსმალეთის მონობისაგანო.

ალბანელების კრება.

ქ. ტრიესტში (ავსტრია) მოხდება ალბანელების ნაციონალური კრება, რომელიც განიხილავს ალბანეთის დამოუკიდებლობისა, საზღვრებისა და მართველობის ფორმის საკითხს.

ბულგარეთ-რუმინიის დავა.

დიდი სახელმწიფოების რჩევამ კეთილი ნაყოფი გამოიღო სოფიასა და ბუქარესტში. სარწმუნო ადგილებიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთ-რუმინიის დავის გადაცემა ევროპის სახელმწიფოთა ხელში უკვე უზრუნველყოფილიაო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

19 თებერვალი.

საზღვარ-გარეთ

მუკდენი. პეკინიდან მოსულ ბრძანების თანხმად არსდება ცალკე კომისიები, რათა განიხილონ პრინციპიალური საკითხები მანჯურიის დუდუსა და პროვინციების საბჭოთა შორის უთანხმოებისა.

ვაშინგტონი. მოვიდა პრეზიდენტი ვილსონი; ხალხი ოვაციებით მიეგება ახალ პრეზიდენტს.

ტოკიო. თითქმის მთელი ქალაქი ნუმაძუ გადაიწვა. დედოფლის საზამთრო რეზიდენციაში 300 სახლი გადაიწვა.

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 827.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო ხარჯთ-აღრიცხვიდან, რომელიც 575 მილიონს შეადგენს, სამხედრო და საზღვაო უწყებისთვის გადებულია 193 მილიონი.

ვაშინგტონი. ჩვეულებრივის ცერემონიალით შეუდგა შეერთებულ შტატთა ახალი პრეზიდენტი თანამდებობის ასრულებას. ვილსონმა ფიცი მიიღო. ვილსონმა აღნიშნა დემოკრატიის გამარჯვება. ჩვენ შევქმენით მართვა-გამგეობის დიდებული სისტემა, ამბობდა ვილსონი, ჩვენ ვამაყობდით მრეწველობის განვითარებით, მაგრამ არა ვფიქრობდით ადამიანის სიცოცხლის ფასზე, არ გვესმოდა კვნესა და გმინვა ფაბრიკებიდან, მაღაროებიდან და ყველა იმ სახლიდგან, საცა ბრძოლაა გაჩაღებული. ჩვენი მოვალეობაა ბოროტება გავასწოროთ და ამით ზიანი არ მივაყენოთ სიკეთესო. ვილსონმა აღნიშნა თვისი სამოქმედო გეგმა:—ტარიფის შეცვლა, ბანკების სისტემის მოწესრიგება, შრომის და კაპიტალის ურთიერთობის გარდაქმნა, გზათა სისტემის გაუმჯობესება და სხვა.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატა შეუდგა საარჩევნო კანონის განხილვას. ოპოზიციამ პროტესტის ნიშნად დარბაზი დასტოვა. ქუჩებში ჯარია.

ბუდაპეშტი. სოციალისტურ პარტიის მთავარმა კომიტეტმა დაადგინა, გაფიცვა ჯერ-ჯერობით არ გამოაცხადოს და შესაფერ მომენტისთვის გადასდოს.

რუსეთი.

კიევი. კოდოლში ორი დანაშაულობა მოხდა. შურისძიების გამო მოჰკლეს ერთი პოლიციელი და დასჭრეს ერთი დარაჯი და ერთი პოლიციელი.

პეტერბურგი. ხივის ხანს უმაღლესი რესკრიპტით ებოძა უმაღლესობის სარისხი.

კიევი. მაკაროვის ბუდაში აღმოაჩინეს საიდუმლო პოლონური სკოლა. მასწავლებელი სამართალში მისცეს.

კიევი. პოლიციამ აღმოაჩინა პოდოლში ყაჩაღთა ბრბო.

რუსეთი

ხარჯი არეულობის დაცხრობისათვის.

„ნოვოე ვრემიას“ სიტყვით, უმართებულესმა სენატმა ამ მოკლე ხანში უნდა განიხილოს საკითხი, თუ რა წყაროდან აიანაზღაურონ მცხოვრებლებმა ის ზარალი, რაც არეულობის დასაცხრობად გაგზავნილ ჯარის შენახვით მოუვიდათ. ამ საკითხის თაობაზე კამათია გაჩაღებული ერთის მხრივ შინაგან საქმეთა მინისტრის და მეორე მხრივ ფინანსთა და სამხედრო მინისტრთა შორის. დავის აღორძინების ისტორია ასეთია. ბაქოს ქალაქის გამგეობამ უარი უთხრა მცხოვრებთ, რომელნიც ჯარზე გაწეულ ხარჯის ანაზღაურებას მოითხოვდნენ ქალაქის თვითმმართველობისაგან. ჯარი გაგზავნილი იყო 1903 წლის არეულობის ჩასაქრობლად. ბაქოს გამგეობის აზრით, ზარალის ანაზღაურება ხაზინამ უნდა იკისროს. ბაქოს ადმინისტრაცია ამას არ ეთანხმებოდა და წინააღმდეგ აზრს გამოსთქვამდა. ქალაქის თვითმმართველობამ ადმინისტრაციის დადგენილება სენატში განასაჩივრა. შინაგან საქმეთა მინისტრს სამართლიანად მიაჩნია ბაქოს თვითმმართველობის საჩივარი. წინააღმდეგი აზრისა არიან ფინანსთა და სამხედრო მინისტრი. ფინანსთა მინისტრს აუცილებლად მიაჩნია, რომ ქალაქის თვითმმართველობამ მისცეს ბინა არეულობის ჩასაქრობად გაგზავნილ ჯარს, არა მარტო სამის დღის, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი ამბობს, არამედ მთელი დროით, ვიდრემდის წესიერება არ დამყარდება. ჯარის შესანახი ხარჯიც ქალაქის თვითმმართველობაზე უნდა იყოს გაწერილიო. ფინანსთა მინისტრს თავის მოსაზრებაში პატარა შესწორება შეაქვს—რომ ქალაქის თვითმმართველობა მოვალე არ არის გასწიოს ხარჯი, ეგრედ წოდებულ შტაბის ბინებზეო. უნდა აღვნიშნოთ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის აზრი მაშინ გამოითქვა, როდესაც მინისტრად იყო თავ. სვიატოპოლკ-მირსკი.

გუბერნატორთა თათბირი.

გუბერნატორთა თათბირი შეუდგა პოლიციის მეთვალყურეობის საკითხის განხილვას. ამ დარგში საჭიროდ სცნეს ცვლილება შეეტანათ. პოლიციამ ფხიზელი თვალ-ყური უნდა ადევნოს: მათხოვრებს, მუქთახორებს, საეჭვო ყოფაქცევის პირთ, მასიურ არეულობაში მონაწილეთ, სხვის ქონების დამსაკუთრებელთ, მთავრობის წინააღმდეგობის გამწევთ, ლოთობის დროს ურიგობის ჩამდენთ და სხვა. ზემოდ ჩამოთვლილ პირთ მეთვალყურეობას უწევს განსაკუთრებული სამართველო გუბერნატორის თავმჯდომარეობით. პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფნი პირნი ზოგიერთ უფლებაში შეზღუდვილნი არიან, საზოგადო და კერძო სამსახურში და ბინის გამოცვლისა ან მგზავრობის დროს.

თათბირი ვრცლად შეეხო პოლიციის როლს საზოგადო კრებებზე, საზოგადოებაში და კავშირებში. პოლიცია არავითარ მონაწილეობას არ იღებს არც ერთ საზოგადო კრებებზე, რასაკვირველია, თუ კრება რაიმე უკანონობას არ ჩაიდენს.

პოლიციის მონაწილეობა სტუდენტთა კრებებზე განსაკუთრებულის წესებით იქნება მოწესრიგებული. მიტინგების გამართვას პოლიცია მაშინ დაადასტურებს, თუ ადგილობრივი მთავრობისგან მიტინგის გამმართველებს სათანადო ნებართვა ექნებათ აღებული. საზოგადო კრების გამართვა, როგორც ღია ცის ქვეშ, აგრეთვე სახლებში შეიძლება განსაზღვრულ მანძილზე ხელმწიფე იმპერატორის საცხოვრებელ ბინიდან და სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს შენობიდან. სასწავლებლებში კრებების გამართვა, მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ კრებას წმინდა სამოსწავლო ხასიათი აქვს. პოლიციამ უნდა აკრძალოს საზოგადო კრებები რესტორანებში, სასტუმროებში, ტრაქტირებში და სხვა...

კრებების უფლების შეზღუდვა არ უნდა გავრცელდეს სამლოცველო კრებებზე, დაკრძალვის პროცესიებზე და სახელმ. სათათ. საარჩევნო კრებებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნებადაურთველ კრებებს, განსაკუთრებით კი პროფესიონალურ საზოგადოებებისას. პოლიციამ ფხიზელი თვალყური უნდა ადევნოს სტუდენტობას, რომელნიც ნება დაურთველად იარაღს ატარებენ. გუბერნატორთა თათბირმა მიიღო ბევრი წვრილმანი მუხლი პოლიციის რეფორმის პროექტისა. მაკაროვის პროექტი ამ მხრივ უცვლელი დარჩა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. პარასკევს, 22 თებერვალს **ვალ. შალიკაშვილის საბენეფისოდ** წარმოადგენენ მისსავე 4 მოქმედებიან პიესას—„გადაჭრილი მუხა“. ბ-ნმა შალიკაშვილმა შარშანდელ უფერულ სეზონის მერე, წელს თვალსაჩინოდ გამოაცოცხლა ჩვენი სცენა, როგორც ხელოვანმა რეჟისორმა. მისი ღვაწლი ამ მხრივ დაუფასებელია. მეორე მხრივ თვითონ პიესაც „გადაჭრილი მუხა“ წელს პირველად შევიდა ჩვენის დასის რეპერტუარში და ღირსეული ყურადღებაც დაიმსახურა. ეს პიესა, ეჭვი არ არის, ქართულ რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს. იმედი გვაქვს, რომ საზოგადოება ღირსეულად დააფასებს ბ-ნ შალიკაშვილის ღვაწლს, მის ბენეფისს სიამოვნებით დაესწრება და მისის ორიგინალურ პიესითაც დასტკბება.

შემდეგი წარმოდგენა იქნება შაბათს, 23 თებერვალს. დილით დასდგამენ აკაკის „**პატარა-კახს**“, ხოლო საღამოთი – „**არსენას**“.

ნაძალადევის თეატრი. კვირას, 17 თებერვალს, ქ. ჩერქეზიშვილისა და ბ. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოადგინეს „მსხვერპლი“—გედევანიშვილისა.

ქ. ჩერქეზიშვილს (ცნ. ბარბარე), რომ არ შეესხა მეორე მოქმედებისათვის მშვენების ფრთები და მომხიბლავი მოქმედებით საზოგადოება აღტაცებაში არ მოეყვანა, საქმე ძალიან ცუდად იყო. მშვენივრად თამაშობდნენ აგრეთვე ქ-ნნი კაციელი (ნატო), გოგაშვილისა (ვანოს დედა), ბ-ნნი გოგაშვილი (ვანო) და სვანაძე (გაბუა), მაგრამ ამათი სიკარგე დანარჩენთა უვარგისობით ქარწყლდებოდა. ბ. სვიმონიძეს (თავ. ნიკო) ქულაჯასთან ერთად ევროპიული შარვალი და ზონარიანი ფეხსაცმელები ეცვა. დანარჩენთაგან ცოტათი ერჩეოდა ბ. გიორგაძე (მიხა), შესაფერის მოქმედებით.

დამსწრე.

ავლაბრის თეატრი მეზუროვისა. შაბათს, 16 თებერვალს, ხარფუხის სცენის მოყვარეთა წრემ, ბ. ს. პეპანოვის რეჟისორობით, წარმოადგინა გედევანიშვილის სახელგანთქმული დრამა „მსხვერპლი“.

ძნელია ასეთი რთული პიესის დადგმა ღარიბ წრისათვის, მაგრამ რეჟისორისა და სცენის მოყვარეთა ერთგული შრომის მეოხებით პიესა საკმარისად ძლეულ იქმნა.

ქ. კავთელმა დაკვირვებით შეასრულა როლი ქმრისაგან დატანჯულის ნატოსი.

არა უშავდა რა გიგუას როლში ბ. ჯანველოვს, მაგრამ ზოგჯერ ყარაჩოღული კილო და მიხვრა-მოხვრა ეტყობოდა. ბ. ანაშვილი (საქუა) და ალექსიძე (მისი მოჯამაგირე) შეუფერებელი მოქმედებით, ხალხში უდროვო დროს სიცილს იწვევდნენ და პიესის ბუნებრივობას ხელს უშლიდნენ.

მშვენივრად შეასრულეს თავისი როლები: ქ.ქ. მეხუზლასამ (ვანოს დედა), ზარ დალიშვილისამ (ცნ. სონასი), ბ ნთ ყარამანაშვილმა (ბოქაული), შათირიშვილმა (ვანო) და ყანჩაველმა (გაბუა).

რეჟისორს შრომა გაეწია და ორმოცამდე უსიტყვოდ მომქმედნი პირნი შესაფერისად მოემზადებინა.

მიშო.

დ. ჭიათურა. კვირას, 17 თებერვალს ადგილობრივმა სცენის მოყვარეთა წრემ, დ. ჩარკვიანის რეჟისორობით და მონაწილეობით წარმოადგინა, პირველად ჭიათურის სცენაზე „იუდის ამბორი“ დრამა 4 მოქმედებად ბელიოსი და აკაკის ვოდევილი „ბუტიაობა“. უნდა ვსთქვათ, რომ ეს პიესა, წელს, ამ სეზონში, ერთათ ერთი პიესაა, როგორც თვისი შინაარსით, ისე მოთამაშეთა ხელოვნური თამაშით.

„ბუტიაობამ“ ბევრი აცინა საზოგადოება. **ბელურა.**

ბაქო. კვირას, 17 თებერვალს, ახალგაზრდა მსახიობ ქალის **ქ-ნ ვიქტორელის საბენეფისოდ** წარმოდგენილი იქმნა ვ. გუნიას მხიარული კომედია „ალლუმი“. ქ-ნი ვიქტორელი წლევანდელ სეზონში აქ მუშაობდა, ბაქოელმა ქართველებმა დააფასეს მისი შრომა და ბენეფისს ბლომად დაესწრნენ: თეატრი თითქმის სავსე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ფასები ძალზე აუწიეს. სამწუხაროდ, წარმოდგენამ ისე ვერ ჩაიარა, როგორც სასურველი იყო. როლები ცუდად განაწილებინათ და არც საკმაოდ მომზადებული იყვნენ. რეჟისორის ხელიც ნაკლებად ეტყობოდა წარმოდგენას. მობენეფისე მაინც მხურვალედ მიიღეს და რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

შემდეგისთვის წ.-კ. საზოგადოების გამგეობას აზრადა აქვს საგასტროლოდ მოიწვიოს ჩვენი ცნობილი და ნიჭიერი არტისტები.

ქ. ბათუმი. 17 თებერვალს შმაევსკის თეატრში „მოგზაურის“ დასმა წარმოადგინა—ს. ხარაზიშვილის საბენეფისოდ „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“ დე-კურსელის მელოდრამა 5 მოქმედებად. ბ. შალვას ამ ჯერად რაღაც უგულობა შევნიშნეთ თამაშში.

კარგი იყო ბ. ბარველი (გრაფ დობინიე). საზოგადოთ ეს მსახიობი ხალისიანათ და ერთგულათ ასრულებს ხოლმე თავის როლებს, მას ხელს უწყობს ბუნებრივი მიხვრა მოხვრა და მკაფიო გამოთქმა. შესაფერათ შეასრულა ბ. ყალაბეგაშვილმა (ბიგო, მხატვარი) თავისი როლი.

გასტონი (ხარაზიშვილი) ზედ გამოჭრილი იყო ამ როლზე ჩინებულათ შეასრულა და საზოგადოების ყურადღებაც დაიმსახურა, რაიც გამოიხატა მრავლის საჩუქრების მირთმევაში... საზოგადოება ბევრი დაესწრო, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ცოტა გადამეტებული რეკლამის ბრალი უნდა იყოს ეს, როგორრათაც, პროგრამების წერილებით დაგზავნა და სხვა.... დიდათ ნასიამოვნები ხალხი პირველის ნახევარზე დაიშალა...

შემდეგი წარმოდგენა ცნობილი რიშკოვის პიესა „სახემწიფო სადგომი“—**შ. დადიანის საბენეფისოთ** 23-ს თებერვალს არის დანიშნული— იმედია, ბათუმის საზოგადოება ამ პირველი პიონერის, ბათუმში თეატრის დამაარსებელის, ბლომათ დაესწრობა.

ტრ. ი—ძე.

შემოწირულობა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) ივანე გიორგის ძემ ციციშვილმა: ა) პატარა ქასრი, ბ) წყვილი ჩასსაკრავი, გ) ხონჩხა და დ) ხის პატარა დოქი.

2) ივანე სოლომონის ძემ ბოკერიამ—ხუთი თეთრი ფული (მათ შორის ერთი ერეკლე მე-II-სა და მეორე ბიზანტიური).

3) ქართულ გიმნაზიის მე-VII კლ. მოწაფემ იასონ ჯორჯაძემ—თეთრი ფული.

4) ქართულ გიმნაზიის მე-VII კლ. მოწაფემ გრიგოლ კიკნაძემ—შავი ფული.

5) სამსონ ფაღავამ—ორი თეთრი ფული (სასანიანთ დინასტიისა და ბიზანტიური).

6) ქართულ გიმნაზიის I კლ. მოწაფემ ნიკოლოზ ჯაიარიშვილმა—გოზაური.

7) ქართულ გიმნაზიის მე-V კლ. მოწაფემ გრიგოლ დიდებულიძემ—დამბაჩის ლულა.

8) სამსონ ლევანის ძემ ბადაშვილმა—ექვსი საბუთი.

9) მღვდ. კონსტანტინე კავკასიძემ—ზემო ნიქოზის ეკლესიის სამღვდელო ოქრომკედის სარტყელი (წარწერიანი).

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. მკრტიჩიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. მკრტიჩიანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ.



მეხანიკური ნაწარმოები. 30

◆ გამოსულია და იყიდება ◆
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მემოზრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

განცხადება
სამეურნეო იარაღების საწყობი
გ. ბ. თათუზოვი და ამხანაგობა.
ამით ვაუწყებთ პატივცემულ მეურნეებს, რომ ჩვენს საწყობში შეუძლიანთ მსურველებს შეიძინონ, **როგორც ნაღდზე, ისე ნისიად** შემდეგი სამეურნეო იარაღები: სალეწი მანქანები—სანიავებელი აპპარატებით, ორთქლით მომუშავე გუთნები, სამკალი მანქანები, როგორც თვით ძნის შემკვრელი ისევე სხვა; რიგზე სათესი მანქანები, როგორც სიმინდისა აგრეთვე პურისა, მატორები, სიპიხდის საცეხვი, ყურძნის საწური და გორველის გასარჩევი მანქანები, გუთნები და ერთი სიტყვით
◆ ყოველნაირი სამეურნეო იარაღები ◆
საწყობი იმყოფება ქ. თელავში, ხიდის ყურთან, ნარიმანოვის სახლებში, ქალაქის თვითმმართველობის ქვეშ.
103 პატივისცემით **გ. ბ. თათუზოვი და ამ—გობა.**

ავადმყოფთ
„**სპერმინ-პელის**“-ს მბაძავები ავადმყოფთ დიდ იმედიან რეკლამებით სცდილობენ მიაღებინონ თესლეულის გამონაწური სხვა და სხვა სითხე. ამ რეკლამებში ყოვლად მოურიდებლად ამახინჯებენ ფაქტებს და იმოწმებენ უცხოეთის სხვა და სხვა მეცნიერთ, **რომელთაც არასდეს არ უნახავთ ეს წამლები.** ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოთ ამ კოტოშებისა და სხვა გამომწვევ საშუალებათაგან, რადგანაც ის წამლები, რომელთაც „სპერმინ-პელას“-თან საერთო არა აქვს რა, ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნებელ ნივთიერებას შეიცავს.
ნერვების აშლილობისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულობის დაჩაჩანაკებისა, ისტერიისა, ნევრალოგიისა, სისხლნაკლებულობისა, ჰლექისა, ათაშანგისა, ვაოდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის ძმარვა, გულის სრაუსტე), ძარღვების დადუნებისა, ლოთობისა, წელკავისა, სიდამბლისა, გავლილ ავადმყოფობისაგან გამოწვეულ დაქანცულობა-უღონობისა და სხვა შემთხვევის დროს, მხოლოდ **სპერმინ-პელა** აღწევს იმ თვალსაჩინო შედეგამდე, რასაც ადასტურებენ მთელი ქვეყნის ცნობილ მეცნიერთა და მკურნალთა გამოცდილება.
ყურადღება უნდა მიაქციოთ თვითონ სახელწოდებას **სპერმინ-პელა** და არ შეიკაროთ არც ერთი გამოსაწვევი რამ საშუალება, არც ათასნაირი სხვა და სხვა სახელწოდებიანი სითხე, რომელთა უვარგისობის თაობაზე გამოცემულია ცალკე წიგნაკი და მსურველთ უფასოდ ვუგზავნით, **სპერმინზე** ახლად დაწერილ წერილებთან ერთად.
სპერმინ-პელა ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში იშოვება.
ორგანოთერაპეტიული ინსტიტუტი
პროფესორი ექ. პელ შვილებით
მის იმპერატ. უდიდებულ.
იჯარადარი
ს. პეტერბურგი.
1479 1068

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.
19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 376**
დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ
ექიმების მიერ: **დილით:**

შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილთ.	**სპექტიორი გ. მ.**	8½—9½ ს.
	იაშვილი ა. ო.	11—12 ს.
	აბაკელია ი. ქ.	12—1 ს.
	ლოლობერიძე გ. მ.	12½—1½ ს.
საოპერაციო ქირ. სნეულებანი:	**გრიგორიანი ა. ი.**	11—12 ს.
	მელკონიანი გ. ა.	12—1 ს.
	ჯაში ი. ი.	9½—10½ ს.
საშარდე და სქესის ორგანოების სნეულებ.	**გრიგორიანი ა. ი.**	11—12 ს.
სნეულებ. საშვილოსნ. და ბებიობ.	**მიკირტუმოვი**	10—11 ს.
	ექიმი-ქალი ტერ-დავიდოვისა	11—12 ს.
	ლოლობერიძე	12½—1½ ს.
ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებ.	**შაპელნიკოვი გ. ი.**	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა** „606“ და „914“, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება საყმაწვილო წიგნები:
ოქროს ფული. ლ. ფალავას გადმოკეთებული ქ. 1911 წ. ფ. 2 კ.
მოთხრობათა კრებული. ივ. ყიფიანის გადმოკეთებული ქ. 1911 წ. 2 „
იოანე სარდალი. ნათ. ი. ყიფიანისაგან ქ. 1912 წ. 3 „
მირიელ ეპისკ. ვიქ. ჰიუგოდან. ნათ. ჩერეკაშვილისა. 2 „
სამი მოთხ.: ბიჩერ-სტოუ, გულკეთილი ებრაელი, ავია თუ კარგი. ნათ. დ. ნ—ვისაგან ქ. 1912 წ. 3 „
სინიდისის ხმა. ვ. ნ—ძისაგან გადმოკეთებ. ქ. 1911 წ. 2 „
სოფელი კურთხეულა. გადმოთარგმნილი არ. დადიანის ქ. 1911 წ. 3 „
მოგზაური. გამოკ. ლ. ელიაშვილისაგან ქ. 1911 წ. 2 „
ცხოვრების გზა. ალ. ჯირაქამის თარგ. ქ. 1911 წ. 2 „
ახალი წიგნები და სურათები:
სიტყვანი დავით ეპისკოპოსისა. ტფ. 1912 წ. ფ. 10 კ.
Статьи и замѣтки по грузинскому церковному вопросу. პროფ. ა. ცაგარლისა, პეტ. 1912 წ. ფ. 1 მან.
ვლ. მესხიშვილის სურათი დიდი 50 „
ქართ. არტისტ. ჯგუფის სურათი დიდი 50 „
ადრესი: Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

მივიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა;
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარალინა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მოხარშული დოში, ზურგიელი, და ყოველგვარი
◆ შავი ხიზილალა ◆

ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.